შპს ბიესი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2
სრული შემოსავლის ანგარიშგება 3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 5
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა 5
3. ფული და ფულის ექვივალენტები 9
4. მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები 9
5. ძირითადი საშუალებები 10
6. კაპიტალი 11
7. საერთო მოგება 11
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 11
9. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ 12

შპს „

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.18	01.01.18
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		1416885	1245678
არამატერიალური აქტივები		148	184
ბიოლოგიური აქტივი		521	521
გაცემული სესხები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები		80048	94825
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		427120	269916
მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები		1315390	1228839
გადახდილი ავანსები		134008	114341
სულ აქტივები		**3374120**	**2954304**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება/ (ზარალი)		1419742	1056892
გადაფასების რეზერვი		192900	100000
სულ საკუთარი კაპიტალი		**1612842**	**1157092**
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		1772815	1827057
საგადასახადო ვალდებულებები		-11537	-29845
მიღებული ავანსები			
სულ ვალდებულებები		**1761278**	**1797212**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**3374120**	**2954304**

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 28 სექტემბერს.

BS LTD 1 202455397

დირექტორი
ირაკლი ანანიძე

მთავარი ბუღალტერი
უმიკო მიქელაძე

სრული შემოსავლის ანგარიშგება

მოგება - ზარალის ანგარიშგება	შენიშვნა	2018
ამონაგები		4124815
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-2577208
საერთო მოგება		**1547607**
სხვა შემოსავლები		
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი		
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		-1107271
სხვა ხარჯები		-3432
სულ საოპერაციო ხარჯები		**-1110703**
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		-36110
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		**400794**

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
ირაკლი ანანიძე	უმიკო მიქელაძე

შპს „

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ (ზარალი)	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	200	1056892	100000	1157092
კაპიტალის ზრდა/შემცირება		362850	92900	455750
წლის მთლიანი სრული შემოსავალი				
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	200	1419742	192900	1612842

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი
ირაკლი ანანიძე

მთავარი ბუღალტერი
უმიკო მიქელაძე

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს ბიესი (202455397) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2008 წლის 16 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ბელიაშვილის ქ #134

კომპანიის წილი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განაწილებულია შემდეგნაირად:

ირაკლი ანანიძე 61002005050 -- 33%

ირაკლი ჩავლეიშვილი
61001027735 - - 33%

თამარ ვეფხვაძე 01026001976 -- 34%

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო, სარემონტო და საიზოლაციო მასალების რეალიზაცია, სამშენებლო, სარემონტო და საიზოლაციო სამუშაოებით მომსახურება. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს ერთ ფილიალს და ერთ ადმინისტრაციულ ოფისს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა 21.

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

მსს ფასს-ის 35-ე მუხლის თანახმად კომპანიის შესაბამის სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

კომპანიამ მსს ფასს-ზე გადასვლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაშვებული შეღავათები შესადარისი პერიოდისა და ფულადი ნაკადების წარდგენასთან დაკავშირებით, რის გამოც არ წარადგენს აღნიშნულ ინფორმაციას.

რადგან მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი, მსს ფასს-ზე გადასვლის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ მოიცავს წინა პერიოდის შესადარის მონაცემებს, შესაბამისად წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ ითვალისწინებს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის წარდგენას.

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების და საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ") მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/დანაკარგის ნაწილში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული „სებ" გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2.68	3.07
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს	2.59	3.10

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადაა 2-20 წელი.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა

წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა. არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივის აღრიცხვა გრძელდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით აქტივის შეფასებული მომსახურების ვადის 10-15 წლის მანძილზე.

ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.
კომპანიის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები ძირითადად შედგება გასაყიდად და სამშენებლო სარემონტო სამუშაოების წარმოებისათვის გამიზნული მასალებისაგან.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება Fifo ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენაზე გაწეულ დანახარჯებს, გადამუშავების დანახარჯებს და ამჟამინდელ მდგომარეობამდე სასაქონლო-მატერიალური მარაგების მისაყვანად გაწეულ ხარჯებს.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.
კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმომდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.
ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება

(დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

საგადასახადო აქტივები

საქართველოს საგადასახადო კანოკმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულად.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. აღიარება მოხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

3 ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან და სალაროში არსებული თანხებისაგან.

	31.12.18	01.01.18
ნაღდი ფული სალაროში	2898	8015
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	66183	26888
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	10967	59922
სულ	**80048**	**94825**

4 მიმდინარე სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31.12.18	01.01.18
საქონელი	1218360	1157789
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	1025	1025
ნედლეული და მარაგები	96005	70025
სულ	**1315390**	**1228839**

5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	მანქანა დანადგარები	რემონტი	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ლიზინგით შეძენილი სატრ საშ	სულ
01.01.18	**328220**	**558899**		**290403**	**13548**	**41390**	**81986**	**100000**	**1414446**
შეძენა		50779	461954	72287	150483	9005	23592	92900	861000
გასვლა		609678		4000					613678
31.12.18	**328220**	**0**	**461954**	**358690**	**164031**	**50394**	**105578**	**192900**	**1661767**
ცვეთა									
დაგროვილი ცვეთა 01.01.18				**134606**	**6459**	**9680**	**18023**		**168768**
ცვეთა			9624	48112	3689	8480	8123		78028
გასული ცვეთა				1913					1913
დაგროვილი ცვეთა 31.12.18			**9624**	**180805**	**10148**	**18160**	**26146**		**244883**
საბალანსო ღირებულება									
01.01.18	**328220**	**558899**		**155797**	**7089**	**31710**	**63963**	**100000**	**1245678**
31.12.18	**328220**	**0**	**452330**	**177885**	**153883**	**32235**	**79432**	**192900**	**1416885**

6 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 1 იანვრისთვის შეადგენს 200 ლარს, 2018 წლის განმავლობაში კაპიტალი არ გაზრდილა. 2018 წლის განმავლობაში კომპანიის მოგებამ შეადგინა 400794 ლარი

7 საერთო მოგება

	2018
საქონლის მიწოდებიდან მიღებული შემოსავლები	2964755
მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები	1160060
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(2256282)
მომსახურებაზე გახარჯული საქონლის თვითღირებულება	(320926)
საერთო მოგება	**1547607**

8 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018
შრომის ანაზღაურება	739097
საწვავის ხარჯი	22114
რეკლამის ხარჯები	340
ქონების გადასახადი	9257
მიწის გადასახადი	1248
ბანკის მომსახურება	8457
იურიდიული მომსახურების ხარჯი	6962
ხარჯები ძირითადი საშუალებებიდან	2086
ცვეთა და ამორტიზაცია	78063
სხვა საერთო ხარჯი	15374
მივლინება	30012
ავტომანქანების შენახვის ხარჯი	13784
საიჯარო ქირა	52397
სატრანსპორტო ხარჯი	8763
ლიზინგის ხარჯი	47020
პროექტების ხარჯი	43254
კომუნალური ხარჯი	6433
კომუნიკაციის ხარჯი	8948
საკურსო სხვაობა	36110
დაზღვევა	17094
სულ	1146813

9 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

მნიშვნელოვანი მოვლენა საანაგარიშო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა.